На основании изучения дистрибуции переднеязычных согласных фонем внутри данной секции получены следующие выводы: 1) идентичные переднеязычные согласные не встречаются в позиции I—II, их дистрибуция ограничена в позиции I—III, свободна и обычна в позиции II—III; не встречаются лишь глагольные корневые морфемы с гемминированным дентальным глухим смычным t; 2) гоморганные сибиллянты и дентальные смычные не реализуются в пределах одной корневой морфемы; это правило имеет исключения в позициях II—III, I—III; 3) внутри секции переднеязычных фонем устанавливаются определенные отношения между согласными разных артикуляционных серий: несовместимы фонемы, входящие в общие ряды звонких, глухих и фарингализованных согласных s и t, z и d, ṣ и ṭ; в указанных случаях несовместимость согласных или крайнее ограничение их дистрибуции определяется общностью дифференциальных признаков звонкости, глухости, фарингализации.

Академия наук Грузинской ССР

Институт востоковедения

им. Г. В. Церетели

(Поступило 17.2.1984)

ენათმეცნიერება

მ. ზალიძე

წინაენისმეორ თანხმობან ფონემათა დისტრიბუცია პალესტინის
საშუალო არამეულ დიალექტში

რეზიუმე

წინაენისმეორ თანხმობანთა დისტრიბუციის წესები სამთანხმობიან ძორეულ მორფემებში პალესტინის საშუალო არამეული დიალექტისათვის შემდეგი სახით შეიძლება იქნეს ჩამოყალიბებული:



1. იდენტური სიბილანტები და დენტალი ხშულები არ გვხვდება I—II პოზიციაში, მათი დისტრიბუცია შეზღუდულია I—III პოზიციაში, თავისუფალია II—III პოზიციაში. არ გვხვდება მხოლოდ ზმნური ძირეული მორფემები გემინირებული ყრუ დენტალი ხშულით — *t*.

2. ჰომორგანული სიბილანტები ან დენტალი ხშულები არ ეთავსებიან I—II პოზიციაში. გამონაკლისის სახით დასტურდება ძირეული მორფემები ჰომორგანული წინაენისმიერი ფონემებით II—III და I—III პოზიციებში.

3. წინაენისმიერ თანხმოვანთა სექციის შიგნით *z* და *d*, *s* და *t*, *ʃ* და *ʧ* ფონემათა შეუთავსებლობა ან ძლიერ შეზღუდული დისტრიბუცია ერთი ძირეული მორფემის ფარგლებში შეიძლება აიხსნას დისტინქტურ ნიშანთა ერთობით.

LINGUISTICS

M. G. CHELIDZE

DISTRIBUTION OF FRONT CONSONANT PHONEMES (DENTAL STOPS AND SIBILANTS) IN JEWISH ARAMAIC (MIDDLE ARAMAIC DIALECT OF PALESTINE)

Summary

The general conclusions on the patterning of front consonant phonemes in triconsonantal root morphemes in Jewish Aramaic may be summed up as follows:

1. Identical sibilants or dental stops are excluded in the position I-II. In the position I-III their exclusion is less rigorous. On the other hand, a pattern of identical second and third sibilants or dental stops is of frequent occurrence. The dental voiceless stop *t* in the position II-III with the geminate verbal root morphemes has not been identified.

2. Homorganic sibilants and dental stops are excluded in the position I-II. In the positions I-III, II-III marked but less rigorous exclusion of homorganic consonants of front section takes place.

3. The members of the front section *s* and *t*, *z* and *d*, *ʃ* and *ʧ* tend not to occur in the same root morpheme. In such instances the incompatibility of consonants or the restriction of their distribution can be explained by the similarity of the distinctive features: voiced: voiceless, flat: plain.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. Н. С. Трубецкой. Основы фонологии. М., 1960, 272—279.
2. K. Koskinen. ZDMG B 114, HI, 1964, 17-53.
3. A. Berliner. Targum Onkelos, IT.-Text, nach Editio Sabioneta r. T. 1557. Berlin, 1884.
4. J. Greenberg. Word 6, 1950, 177.

ბ. ბურბულაძე

მასდარის -აჭუ სუფიქსის წარმოშობისათვის ლაკურში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა არნ. ჩიქობავამ 20.1.1984)

ჯერ კიდევ პ. უსლარი შენიშნავდა „აჭუ არის საერთო დაბოლოება ყველა ნაშენარის სახელისა“-ო ([1], 46) და მოჰყავდა სათანადო ნიმუშები (მაგ., ლასუნ „აღება“ — მასდარი: ლასაჭუ და მისთანანი). ეს ასეა, ოღონდ პ. უსლარის აქ მოყვანილ გამოთქმას დაზუსტება სჭირდება — მასდარს სამწერლობო ლაკურში სხვა აფიქსებიც აწარმოებენ, კერძოდ: -შაჭუ, -შიჭუ, -უ, -ან, -აღა...

სამწერლობო ენის (resp. ლუმუქური ტიპის თქმების) -აჭუ, -შაჭუ, -შიჭუ აფიქსათვის ამოსავალი -აჭუ, შაჭუ, -შიაჭუ ვიცხიური ტიპის თქმებში დღესაცაა წარმოდგენილი. პროცესი ბ>ჭ ლაკურში ცნობილია.

ზემოთ ჩამოთვლილ აფიქსათგან საკუთრივ მასდარისა -აჭუ მაწარმოებელი ჩანს(1, დანარჩენთ ძალუძთ სხვა მეტყველების ნაწილთაგანაც აწარმოონ სახელი. ეს ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში ([3], 229; [4], 135—140).

მასდარი ლაკურში(2 იწარმოება სათანადო ზმნის ძირისაგან -აჭუ სუფიქსის დართვით. რამდენიმე ნიმუში:

იკი-ან (ბ-, დ-) „ყოფნა“ — მასდარი: იკი-აჭუ (ბ-, დ-)

ათა-ან (ბ-, დ-) „ცემა“ მასდარი: ათა-აჭუ (ბ-, დ-)

ჩიჩინი „დაწერა“ — მასდარი: ჩიჩ-აჭუ

ლას-უნ „აღება“ — მასდარი: ლას-აჭუ

მასდარს ლაკურში ის ძირითადი მორფოლოგიური ნიშნები ახასიათებს, რაც მის ამოსავალ ზმნას აქვს ხოლმე საზოგადოდ:

1. იგი შეიძლება იყოს კლასნიშნისანი (Ø-იკი-აჭუ „ყოფნა“, მაგალითად, ადამიანისა, კაცისა; ბ-იკი-აჭუ „ყოფნა“, მაგალითად, გოგონასი; დ-იკი-აჭუ „ყოფნა“, მაგალითად, დედისა) და უკლასნიშნო (ლას-აჭუ „აღება“ და სხვ.).

2. მას თავისი ამოსავალი ზმნის დარად დიურატიული ფორმაცა აქვს; ოღონდ, ამ დროს დიურატიულობის -ლ(ა)- აფიქსის ფუძეში წარმოჩენის გარდა სათანადოდ ზმნის ფუძეც რედუპლიცირდება:

(1) რომელიც შედის -შაჭუ ფორმანტის შემადგენლობაში. -შაჭუ წარმოშობით თვით არის მასდარის ფორმა ხ-უნ „გახლომა“, „დადგომა“ ზმნისა ([2], 32; [3], 229); *ხ-აბ-უ>შ-აბ-უ|>შ-აჭუ ([4], 139).

(2) ზოგი მასდარი ლაკურში დღეს გასუბსტანტივებულია: ჩა-აჭუ „სიყვარული“, ში-აჭუ „ჭრილობა“... ამ რიგის ნიმუშებში -აჭუ მაწარმოებლის ა ხმოვანს სიგრძე დაუკარგავს, რის შედეგადაც შექმნილა დაპირისპირება ([6], 156): ჩა-აჭუ „სიყვარული“ — ჩააჭუ „ნდომა“ (ზმნიდან ჩაან „ნდომა“, „სიყვარული“)... შა-აჭუ „ჭრილობა“ — შააჭუ „ხელის კვრა“, „ბიძგება“ (ზმნიდან შიუნ „მოხვედრება“, „ბიძგება“, „ცემა“)...

ცხადია, ეს მერორულია — შედეგი მასდარის გასუბსტანტივებისა.

- იკო-ლ-ან (ბ-, დ-) — მასდარი: იკო-ლა-კი-ნაჭუ (ბ-, დ-)
 ათ-ლ-ან (ბ-, დ-) — მასდარი: ათ-ლა-თ-ნაჭუ (ბ-, დ-)⁽³⁾
 ჩიჩ-ლ-ან — მასდარი: ჩიჩ-ლა-ჩ-ნაჭუ

რედუბლიცირებული აქვთ ფუძეები ე. წ. ბუნებით დიურატიულ ზმნათა-გან ნაწარმოებ მასდარის ფორმებსაც:

- შაი-ან „აღუღება“ — მასდარი: შაი-რა-შ-ნაჭუ
 ზან-ან „სვლა“ — მასდარი: ზან-ა-ზ-ნაჭუ
 ცულ-უნ „ცელვა“ — მასდარი: ცულ-ა-ც-ნაჭუ⁽⁴⁾

მასდარის -ნაჭუ მაწარმოებელი რომ რთული ჩანს, შედგება ნაჭ და -უ ელემენტებისაგან, ეს ჯერ კიდევ დიუ მ ე ზ ი ლ მ ა შენიშნა ([7], 25). ოლონდ, -ნაჭ- (უკეთ, აბ-) დიუმეზილმა მიმღებობურ აფიქსად ცნო, რაც სამართლიანად დააყენა ექვის ქვეშ ი. ა ბ დ უ ლ ა ე ე მ ა ([4], 137). მისივე აზრით, ეს -ნაჭ, შესაძლოა, იგივე ელემენტი იყოს, რაცა გვაქვს ლაკურიშივე იტერატივის მაწარმოებლად ([4], 136).

ეს მოსაზრება მართებული ჩანს, რის სასარგებლოდ მივუთითებთ ერთ არსებით მომენტზე: ზემოთ შევნიშნეთ, რომ ლაკური მასდარი ზმნურ კატეგორიათაგან ასპექტსაც განარჩევს, მოვიყვანეთ სათანადო ნიმუშებიც. ოლონდ, ჩიჩ-ლა-ჩ-ნაჭუ რიგის დიურატიული სახის მქონე მასდართა გვერდით არსად დასტურდება მოსალოდნელი სათანადო იტერატიული ფორმა *ჩიჩ-ნაჭა-ა-ნაჭუ ან *ჩიჩ-ნაჭ-ნაჭუ რიგისა. არადა, ლაკურში, ჩვეულებრივ, ყველა ზმნას, მცირე გამონაკლისს გარდა⁽⁵⁾, ასპექტის სამივე სახე აქვს ხოლმე.

მასდარისათვის იტერატიულ ფორმათა არქონა კანონზომიერია, თუ გავითვალისწინებთ მოსაზრებას მასდარის -ნაჭუ მაწარმოებლის -ნაჭ- ელემენტისა და იტერატივის -ნაჭ(ა) აფიქსის⁽⁶⁾ მასალობრივი იდენტურობის შესახებ. სახელდობრ:

იტერატივის ფორმა მასდარს ვერ ექნებოდა, რადგან ჩიჩ-ნაჭუ რიგის მასდარი წარმოშობით თვით წარმოადგენს სათანადო ზმნის იტერატივს — მასდარისავე უ აფიქსდართულს.

ამიტომაცაა, რომ, მაგალითად, ურ (ბ-, დ-) „არის“ მეშველი ზმნის მასდარი ოდენ -შიჭუ სუფიქსითაა ნაწარმოები (უ-შიჭუ; ბ-, დ-). ეს გასაგებია: ეს მეშველი ზმნა ასპექტის ფორმებს საზოგადოდ არ განარჩევს და იმიტომ.

რომელიმე ჩიჩ-ნაჭუ „წერა“ („писание“) უდგება კიდევ შ ი ნ ა ა რ ს ი თ იტერატივს: „წერა“ გაიგება არა როგორც მუდმივი მოქმედება (მდრ. ჩიჩინ „საერთოდ დაწერა“, „написать“), არამედ დასრულებული მოქმედების შედეგი, მოქმედებისა, რომელიც დროდადრო სრულდება. ვთქვათ, „წერა კარნახით“.

-ნაჭ-უ აფიქსის -ნაჭ წარმოშობით თუ იტერატივის მაწარმოებელია, უ ჩვენს ყურადღებას წარმართავს ლაკურში ზმნათაგან მოქმედი არსებითი სახელების

(3) ინტენსიური თხ, ისევე როგორც ყველა სხვა ინტენსიური თანხმოვანი ლაკურში, თანხმოვნის წინ და სიტყვის აბსოლუტურ ბოლოს, როგორც წესი, გადადის სათანადო არაინტენსიურში. მოსალოდნელი იყო, თხ აღმდგარიყო ხმოვნის წინ (*ათ-ლ-თხ-ნაჭუ), მაგრამ რედუბლიცირებისას ეს არ ხდება ხოლმე. რატომ? — ეს საკვლევია.

(4) ამ ზმნურ ფუძეებში წარმოდგენილი რ, ნ, ლ ისტორიულად დიურატიულობის ნიშნებია.

(5) ესაა ე. წ. ბუნებით დიურატიული ზმნები ზანან „სვლა“ ტიპისა.

(6) რომელიც ვიცხიური ტიპის თქმებში, აგრეთვე, მსგავსად მასდარის -ნაჭუ სუფიქსისა, ამისავალი ბ-იანი ვარიანტითაა წარმოდგენილი: -ნაბ(ა).

მაწარმოებელ -უ-საკენ ([4], 136—137): ჩიჩინ „დაწერა“ — ჩიჩ-უ „მწერალი“ ...ეს -უ-ა, ზმნური ფორმა რომ სახელად აქცია.

რაც შეეხება თვით იტერატივის -აჭუ ელემენტს, წარმოშობით ისიც რ თ უ-ლი ჩანს: -ა-ჭ,

-ჭ<*-ბ ისტორიულად ნივთის გრამატიკული კლასის ნიშანი ჩანს, ანალოგიური ინფინიტივის -ბ ნიშნისა ლაქურში, რომელიც, თავის მხრივ, მიცემითი ბრუნვის -ბ ნიშნისაგან მომდინარეობს. ეს უკანასკნელი კი ისტორიულად ნივთთა გრამატიკული კლასის ნიშანი იყო: -ბ<*-მ<*-ბ<*-ბv ([8], 142—143).

საკუთრივ იტერატივისა -ა ჩანს, რომლის სიგრძე გვავარაუდებინებს, რომ *ა-ს რაღაც თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ი ა ხ ლ და, რომლის დაკარგვის კომპენსაციად გვესახება ა-ს დაგრძელება(7. ოლონდ, ეს მსჯელობა ეხება არა უშუალოდ მასდარის მაწარმოებლის გენეზისს, არამედ იტერატივისას, რომლის მზა ფორმანტი, ჩანს, გამოლუყენებია მასდარს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

(შემოვიდა 24.2.1984)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

Г. Т. БУРЧУЛАДЗЕ

К ГЕНЕЗИСУ АФФИКСА МАСДАРА -āwu В ЛАКСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

1. В роли показателей масдара в лакском выступают аффиксы -āwu, -šāwu, -šīwu, -u, -an, -ala...; из них собственно масдарным является суффикс -āwu, остальные могут образовать имена как от глагола, так и от других частей речи.

2. Масдар в лакском образуется от соответствующего корня глагола при помощи морфемы -āwu (исходная форма которой -ābu представлена в лакском же, в говорах типа вицхинского):

iḵ^o-an (b-, d-) „быть“ — масдар: iḵ^o-āwu (b-, d-) „бытие“,

ḡiḡ-in „написать“ — масдар: ḡiḡ-āwu „написание“.

3. В специальной литературе элемент -āw суффикса -āwu справедливо связывают с морфемой итератива в лакском -āw, а -u — с широко использованным аффиксом отглагольных имен -u ([4], 136).

4. Суффикс масдара -āw (перешедший в масдарные формы от итеративных) со своей стороны, по-видимому, сложен: -ā-w, где: -w ← ←*-b — исторически показатель грамматического класса вещей, а долгота предшествующего гласного — это результат утери предполагаемого согласного, сопровождающего гласный элемент *a в прошлом.

(7) საკომპენსაციო სიგრძის თაობაზე ლაქურში იხ.: [9], გვ. 126—127).

G. T. BURCHULADZE

ON THE ORIGIN OF THE MASDAR AFFIX -āwu IN THE LAK LANGUAGE

Summary

1. The affixes āwu, -šāwu, -šiwu, -u, -an and -ala are used as masdar indices in Lak. Of them -āwu is a special masdar suffix, and the rest can form nouns from verbs, as well as from other parts of speech.

2. The masdar in Lak is formed from corresponding verbs by means of the morpheme -āwu (its original form -ābu is found in the same Lak language, namely in the subdialects of the type of that of Vitskhi):

ik^o-an (b-, d-) "to be" — masdar: ik^o-āwu (b-, d-) "being"
 čič-in "to write" — masdar: čič-āwu "writing"

3. in the specialist literature the element -āw of the suffix -āwu is quite correctly connected with the iterative morpheme of Lak -āw, while -u is connected with the -u of the widely used affix of verbal nouns ([4], p. 136).

4. The masdar suffix -āw (which passed into masdar forms from iterative forms), in its turn, is apparently complex: -ā-w, in which -w ← *b—historically an index of the grammatical class of things, the length of the preceding vowel is the result of a loss of a hypothetical vowel accompanying the historical vowel element *a.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. П. К. Услар. Лакский язык. Тифлис, 1890.
2. Л. И. Жирков. Лакский язык. М., 1955.
3. Г. Б. Муркелинский. Ученые зап. Ин-та истории, языка и литературы им. Г. Цадасы Даг. фил. АН СССР, т. III. Махачкала, 1957.
4. И. Х. Абдуллаев. კრებ. „ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან“. თბილისი, 1980.
5. И. Х. Абдуллаев. Ученые зап. Ин-та истории, языка и литературы им. Г. Цадасы Даг. фил. АН СССР, т. XI. Махачкала, 1962.
6. И. Х. Абдуллаев. Категория грамматических классов и вопросы исторической морфологии лакского языка. Махачкала, 1974.
7. G. Dumèzil. Recherches comparatives sur le verbe caucasien. Paris, 1933.
8. გ. ბურჭულაძე. მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, № 1, 1983.
9. გ. ბურჭულაძე. მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, № 2, 1976.



Ц. В. БИБИЛЕИШВИЛИ

СОПОСТАВИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ СЕМАНТИЧЕСКИХ СТРУКТУР СОМАТИЧЕСКИХ ФРАЗЕОЛОГИЧЕСКИХ ЕДИНИЦ ФРАНЦУЗСКОГО И ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКОВ

(Представлено академиком Ш. В. Дзидзигури 27.12.1984)

Одним из основных показателей фразеологичности является семантическое преобразование компонентов. Формы семантического преобразования ФЕ французского языка изучены А. Г. Назаряном [1]. Наиболее характерными формами семантического преобразования автор считает переосмысление, лексическое ослабление значений компонентов, архаизмы, эллипсис, народноэтимологическое переоформление или искажение, смысловое наращение свободного сочетания, ситуативное расширение смысла устойчивого сочетания. Что же касается семантического преобразования ФЕ грузинского языка, оно до сих пор не являлось предметом специального исследования.

Вслед за А. Г. Назаряном мы изучили формы семантического преобразования на исследуемом нами материале сопоставляемых языков.

1. Переосмысление, полное или частичное, является одной из самых распространенных и продуктивных форм семантического преобразования ФЕ. Оно бывает необразное и образное.

Следует отметить, что в СФЕ сопоставляемых языков образование ФЕ путем необразного переосмысления не наблюдается, что, по нашему мнению, определяется характером СФЕ. Фразеологизмы, образованные путем необразного переосмысления, имеют в основном терминологический характер, тогда как СФЕ отличаются образностью, разговорным характером.

ФЕ, возникшим на основе образного переосмысления, присуща двухплановость, в них наблюдается как коннотативное, так и денотативное значение выражения. Образное переосмысление ФЕ может быть метафорическим или метонимическим, что образует метафорические и метонимические ФЕ.

При рассмотрении метафорических СФЕ сопоставляемых языков выявилось, что для СФЕ характерны следующие виды метафорического переосмысления:

1. Перенос по сходству действия — *aboyer dans les jambes*, ასკილივით თავს იქნევს.

2. Перенос по сходству положения или состояния — *avoir la bride sur le cou*, ლაგამი აქვს პირში ამოდებული.

3. Перенос по сходству внешней формы — *avoir les jambes de cerf*, ბეწვის ოდენა.

4. Перенос по сходству характера — *c'est St. Jean bouche d'or*, მუმტრის თვალით უყურებს.

5. Перенос по сходству цвета — *cheveux de poil de Judas*.

Данный вид семантического преобразования СФЕ наблюдается только во французском языке.

Метонимическое переосмысление ФЕ основано на смежности двух предметов или явлений. Наиболее распространенными видами смежности для СФЕ сопоставляемых языков оказались следующие:

1. Название части вместо целого — *une mauvaise langue, tête chaudière*. Аналогичные вышеперечисленным французским СФЕ понятия в грузинском языке передаются одним сложным словом (ენამწარე, თავქარიანი), в котором представлены значения, выраженные во французских СФЕ, в чем еще раз проявляется синтетический характер грузинского языка.

2. Название органа вместо выполняемой им функции — *preter la oreille*, უბრი ათხოვა.

3. Название одного действия вместо другого, для совершения которого первое является необходимым условием, — *faire venir l'eau à la bouche*, ხერწყვი მოგვარა.

4. Название органа вместо присущего ему цвета — *tête de neige, poil de carotte*. Данный вид смежности в грузинских СФЕ отсутствует.

II. Лексическое ослабление значений компонентов. Компоненты данных фразеологизмов без полной утраты собственных значений приобретают переносно-обобщенное значение и выполняют экспрессивно-определятельную функцию:

1. Унилатеральные ФЕ, во французском языке преимущественно образованные при помощи предлогов *à, de, en*, союза *comme*. В грузинском языке аналогичное явление реализуется при помощи послелогов. Например: *Un bras de fer*, თვალის ჩინვიით უფრთხილდება.

2. Идиомы, в основном имеющие непредикативный характер, — *à gorge déployée*.

III. Эллипсис. На материале СФЕ сопоставляемых языков установлено, что хотя эллипсис встречается в СФЕ обоих сопоставляемых языков, во французских СФЕ он больше распространен. Французские эллиптические фразеологизмы делятся на две группы: собственно эллиптические и относительно эллиптические. Собственно эллиптическими СФЕ являются СФЕ, выступающие как сокращенные варианты более полных по лексическому составу словосочетаний, а относительно эллиптическими ФЕ — те, в которых опущенный член заменен местоимением (*le, la, les, en, y*) [1]. Относительно эллиптические ФЕ грузинскому языку не присущи. В грузинском языке часто наблюдаются случаи, когда в двухкомпонентных СФЕ выпадение одного компонента, в основном именного, переводит фразеологизм в ряд метафорических слов. Например: (პირში) უკა.

IV. Смысловое наращение. В данном случае значение ФЕ не заменяет значения свободносинтаксического коррелята, а наращивается на него. Появление новой семы усложняет семантическую структуру и образует фразеологизм. Данный вид семантического преобразования характерен для жесто-мимических СФЕ. В данном случае происходит их «осмысление» и они превращаются в символы определенных понятий. Фразеологическое значение таких устойчивых сочетаний реализуется независимо от их буквального значения. Например: *hausser les épaules*, მხრები აიხეზა; *froncer les sourcils*, წარბი შეკრა.

V. Архаизмы. При рассмотрении явления архаизма в СФЕ сопоставляемых языков обнаружено, что фразеологии французского языка архаизмы свойственны больше, чем фразеологии грузинского язы-

კა, так как современный грузинский язык сохранил морфологию и синтаксический строй древнегрузинского языка.

1. Грамматические архаизмы:

Отсутствие артикля — sur (le) pied de guerre.

Порядок слов не соответствует нормам современного языка — ავოი ოსტომას ვოი.

2. Лексические архаизмы:

Среди стержневых существительных СФЕ грузинского языка наличие архаизмов не наблюдается. Во французском языке существительное «сар» применяется в качестве стержневого компонента.

3. Смысловые архаизмы:

Среди СФЕ французского языка смысловые архаизмы не встречаются, в грузинском же имеются единичные случаи. Например: თვალი მოჰკიდა (ჰკიდა).

VI. Народноэтимологическое переосмысление не является характерным для СФЕ сопоставляемых языков. Имея разговорный характер, этимология СФЕ, за исключением редких случаев, прозрачна.

VII. Ситуативное расширение смысла присуще пословичным ФЕ [2]. Считая пословицы объектом паремиологии, мы не включали фразеологизмы пословичного типа в исследуемый нами материал.

Нередки случаи совмещения рассмотренных выше форм семантического преобразования.

Академия наук Грузинской ССР

Кафедра иностранных языков

(Поступило 27.12.1984)

ენათმეცნიერება

ბ. ბიბილაშვილი

ფრანგულ-ქართული სომატური ფრაზეოლოგიური ერთეულების
სემანტიკური სტრუქტურის შეპირისპირებითი ანალიზი

რეზიუმე

ფრაზეოლოგიზმების წარმოშობის ერთ-ერთი ძირითადი პირობა კომპონენტების სემანტიკის შეცვლა. ფრანგულ-ქართული სომატური ფრაზეოლოგიზმების სემანტიკური სტრუქტურების შეპირისპირებით გამოვლინდა, რომ სომატურ ფრაზეოლოგიზმებს ახასიათებს შემდეგი სახის სემანტიკური ტრანსფორმაციები: 1) სრული ან ნაწილობრივი ხატოვანი გადააზრება, 2) კომპონენტთა ლექსიკური მნიშვნელობის შესუსტება, 3) ელიფსისი, 4) აზრობრივი დანახარდი, 5) არქაიზმები.

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა სემანტიკურ ტრანსფორმაციათა ზემოთ ჩამოთვლილი ფორმები შეთავსებულია.

Ts. V. BIBILEISHVILI

COMPARATIVE ANALYSIS OF THE SEMANTIC STRUCTURES OF
SOMATIC PHRASEOLOGISMS IN FRENCH AND IN GEORGIAN

Summary

Semantic transformation of the components is one of the basic indices of phraseologisms. A comparison of the semantic structures of somatic phraseologisms in French and in Georgian shows that the somatic phraseologisms are characterised by the following transformations: 1) full or partial reinterpretation; 2) weakening of the meanings of the lexical components; 3) ellipsis; 4) broadening of meaning; 5) archaisms. Cases of combination of the above forms occur.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. А. Г. Назарян. Фразеология современного французского языка. М., 1976.
2. А. Г. Назарян. Сб. «Функционально-семантическое изучение иностранных языков». М., 1983.



Л. В. ГВЕРДЦТЕЛИ, П. Н. ДЕНИСОВ

ЛИТЕРАТУРНЫЙ ЯЗЫК И ЯЗЫК ПИСАТЕЛЯ В ИХ СВЯЗЯХ И ПРОТИВОПОСТАВЛЕНИЯХ

(Представлено академиком Ш. В. Дзидзигури 11.1.1985)

В течение многовекового развития филологии и языкознания происходило постепенное уточнение объекта этих наук — языка. Филология в том виде, который она приобрела при исследовании древнегреческого и латинского языков, занималась комментированием письменных памятников названных литературных языков античности.

С возникновением сравнительно-исторического языкознания интерес ученых стали привлекать структурные компоненты языка в их развитии и родственных связях. Сложилась такая наука, как историческая фонетика и морфология индоевропейских языков. При этом в других аспектах использовались факты древнеписьменных литературных языков: санскрита, старославянского языка, тех же греческого и латинского, готского и др.

Младограмматики обратили внимание на диалекты, во-первых, как на живые образования, в отличие от известной искусственности литературных языков, и, во-вторых, как на живых свидетелей истории.

Современная наука о языке проявляет большой интерес к разноаспектным исследованиям литературных языков. Прежде всего весьма усложнились коммуникативные задачи языка в связи с развитием машинной индустрии, техники, науки, новых средств транспорта и связи (газеты, радио, телевидение, космовидение).

Острыми стали вопросы кодификации и нормирования литературных языков в связи с развитием художественной и научно-технической литературы, публицистики и официально-деловой речи. В становлении и укреплении норм национальных языков неопределима помощь со стороны крупнейших писателей, ученых, мыслителей. Поэтому, наряду с созданием общелитературных словарей и грамматик как двух основных видов лингвистических сочинений, в которых кодифицируется литературный язык, многие народы обратились к языковому наследию своих великих писателей: Пушкина, Шевченко, Руставели, Шекспира, Гете, Данте — в надежде увидеть свой национальный язык в динамике индивидуального речетворчества, глубже понять, как происходит сплав общего и особенного в становлении и мужании национальных языков. Мы говорим о роли личности в истории, а какова роль личности в истории литературных языков? Какова детальная, подробная, доказательная и убедительная, реалистическая картина этой роли личности в истории языка? Вот в чем пафос нашей работы, в частности над Словарем языка В. И. Ленина.

Личность В. И. Ленина неповторима. Уникальна и его роль в истории современного русского литературного языка. В меру наших сил мы стремимся расшифровать эту роль в терминах лексикографии, семантики, стилистики, видя свою конечную цель в комплексном комментировании каждого ленинского произведения средствами филологии.

Лексику труднее всего рассматривать имманентно, слишком тесно она связана с внешней лингвистикой, с социальной ролью и личной жизнью человека.



Панорамный обзор более 200 писательских словарей был необходим как опора в выработке такой концепции Словаря языка В. И. Ленина, которая бы 1) верно отражала состояние русского литературного языка в конце XIX — первых десятилетиях XX в., 2) улавливала в допустимых для лексикографии пределах индивидуальные, социально-групповые и всяческие другие особенности ленинского языка и стиля, 3) помогала лексикографическими средствами по-новому раскрыть содержание ленинских текстов, 4) обеспечила возможность наиболее точного и полного толкования трудных мест из ленинских произведений, 5) соответствовала современному состоянию теоретической лингвистики, в частности, таких новых помощников в рутинной части словарной работы, какими являются ЭВМ и новые технические возможности редактирования и набора рукописей при помощи ЭВМ.

Теория литературных языков и теория лексикографии в советском языкознании исследованы достаточно глубоко и всесторонне, но надо углублять эти исследования, искать новые подходы и вообще расширять фронт исследований.

При отражении лексико-семантической системы языка в языке писателя нас ожидают четыре основные возможности: 1) узуальное значение реализовано в языке писателя (без каких-либо видимых семантических или стилистических изменений); 2) узуальное значение не реализовано (не понадобилось писателю); 3) узуальное значение модифицировано: а) семантически; б) стилистически; 4) на базе узуальных значений писателем создано новое значение или оттенок.

Возникает ряд вопросов: 1) общий литературный язык — арифметическая сумма языков писателей или качественно новое явление в сравнении с любой, самой творческой индивидуальной реализацией; 2) язык писателя — иллюстрация общего языка на цитатах из данного писателя или словарь языка писателя — отражение лексико-семантической системы данного писателя во всей его неповторимой индивидуальности.

Противопоставлять одно другому было бы неверно. Это общее мнение. Писательский словарь отличается от общего словаря и составом словника, и реализацией значений, и индивидуализацией значений.

Известно, что слово ГАЗЕТА очень часто встречается в ленинских работах. Так, в статье «С чего начать?», которая была опубликована в мае 1901 г. в «Искре» (№ 4), слово и понятие ГАЗЕТА трактуются широко, как орган, рупор, голос класса и его партии. В этой работе В. И. Лениным сформулировано научное понимание роли газеты.

Казалось бы, конкретная лексика в наименьшей степени может характеризовать стиль автора, пишущего на абстрактные и политические темы. Однако коммуникативно важное может подвергнуться семантической детализации, попасть в особые контекстные условия, дать необычные производные, стать основой метафоризации, символизации и т. д.

Так, например, у Ленина само настойчивое повторение слова ГАЗЕТА в статье «С чего начать?» является стилистическим и психологическим приемом внедрения в сознание читателей (рабочих, революционеров, социал-демократов того времени) мысли о необходимости общерусской политической газеты.

Несмотря на тот факт, что в БАС слово ГАЗЕТА подается в одном значении: «Периодическое, обычно ежедневное, издание в виде больших листов, имеющих целью сообщение о текущих событиях в различных областях жизни и обсуждение их» и не помечено никакими экспрессивно-стилистическими пометами, данные картотеки Словаря языка В. И. Ленина наводят на мысль, что в ленинском употреблении это слово расширило свою семантику, по крайней мере, до четырех отчетливо выделяемых значений.

И БАС, и словарь Ушакова, и другие прошли мимо этой многозначности.

Тем не менее, в языке В. И. Ленина слово ГАЗЕТА занимает особое место, приобретает смысловую емкость, функциональную значимость и даже экспрессию.

Другими словами, некоторые значения слов языка писателя, не зарегистрированные в общих толковых словарях, отражают индивидуализацию литературного языка. Могут возразить, что в подавляющем большинстве случаев индивидуализация писателем общего языка не выходит за рамки контекстуальных оттенков употреблений, но ведь эти вопросы как раз и решаются в практике составления писательских словарей. В предварительном порядке можно отметить, что «масштаб» общего словаря литературного языка крупнее масштаба писательского словаря.

Одним из самых очевидных обстоятельств, которые отличают общую лексикографию от писательской, является включение ономастики и иностранных слов и их толкование.

Включение имен собственных, географических названий, мифологических образов в писательские словари как бы придает полноту освещения языка писателя, раскрывая культурно-историческую обстановку. Слова этого типа несут в себе следы культурных контактов, литературных связей, влияний различных школ друг на друга в области философии, эстетики, искусства. Практически эти слова никогда не включаются в общие словари. Среди таких слов отметим очень извилистый путь развития в европейской и русской литературе античного наследия: Зевс, Юпитер, Апполон, Аврора, Минерва, цимбал, циклоп, данайцы, авгур и мн. др. Отдал дань античной лексике и фразеологии В. И. Ленин.

В толковых словарях с той или иной степенью полноты и точности зафиксированы общенародные элементы языковой системы. В этой системе есть свои выразительные средства, однако «печать индивидуальности» на всех этих средствах давно уже стерлась от многократного употребления. Но даже описание традиционных образных выражений, бытующих в языке художественной литературы, не входит в число непосредственных задач, которые ставятся перед общими словарями.

Вполне естественно, что те значения, которые приобретает то или иное слово в современном литературном языке, не будут отмечены в словаре языка писателя и, наоборот, многие значения или оттенки слов не находят своего отражения в общих словарях, в лучшем случае, они отмечены пометами «истор», «устар». Таким образом, можно сделать вывод, что все словари, как общие толковые, так и писательские, носят дифференциальный характер по разработке значений слова.

Наибольшую сложность при реализации дифференциального принципа в лексикографической практике представляют слова повышенной многозначности — от 5—6 значений и выше. Писатель, как правило, пользуется всей гаммой значений общелитературного слова, но все-таки иногда придает словам новые оттенки. Конечно, более простыми являются такие случаи, когда с течением времени в языке возникают новые реалии, отсутствовавшие во времена писателя. Они становятся достоянием современного литературного языка и входят в общеязыковое значение слова.

Таким образом, общий и писательский словари являются взаимодополняющими интерпретациями системы языка и ее реализации.



ლ. გვერდციტილი, პ. დენისოვი

 ლიტერატურული ენა და მწერლის ენა მათ ურთიერთ კავშირსა და
 უპირისპირებაში

რეზიუმე

თანამედროვე ლიტერატურული ენები უაღრესად მდიდარნი არიან ლექსიკისა და სტილის მხრივ, რაც თავის გამოსახულებას პოეზებს აკადემიურ განმარტებით ლექსიკონებში. მათი მეცნიერული ანალიზის გზით შესაძლებელია განმარტებით და მწერალთა ლექსიკონებში ენის სიტყვიერი შემადგენლობის ასახვის მნიშვნელოვანი გაღრმავება და გაუმჯობესება.

წინამდებარე ნაშრომში განიხილება ზოგადი და მწერალთა ლექსიკოგრაფია მათ ურთიერთკავშირსა და უპირისპირებაში, ზოგად მონახაზებში და სპეციფიკურ თავისებურებებში როგორც კოდიფიცირი ლინგვისტური ლიტერატურის ორი თანასწორუფლებიანი ნაირსახეობა, რომლებიც იდეალში ისწრაფვიან ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ადეკვატური ასახვისაკენ.

LINGUISTICS

L. V. GVERDTSITELI, P. N. DENISOV

 LITERARY LANGUAGE AND WRITER'S LEXICON IN THEIR
 INTERRELATIONSHIP AND CONTRAST

Summary

Modern literary languages are extremely rich in the lexical and stylistical respects, which is reflected in the dictionaries of literary languages designed for general purpose use. By means of scientific analysis one can deepen and improve different aspects of conception of the lexicon in both dictionaries for general purpose use and writer's lexicons.

In the article general and writer's lexicographies are outlined in their common and specific features as two equal parts of coded linguistic literature which supplement each other. Research has shown that both of these varieties adequately reflect and illuminate the formation and functioning of standard literary languages.

3. თოფა

გრიგოლ ჩიქოვანის პროზის მხატვრული თავისებურებანი

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ციციშვილმა 11.11.1983)

გრიგოლ ჩიქოვანის პროზის მხატვრულ თავისებურებას ქმნის თემატიკური აქტუალობა, წარმოსახვის რეალისტური სტილი: ლაკონური თხრობა და სადა, ნათელი მეტყველება. მწერლის სტილის ზოგიერთ ნიშანზე მართებულად მიგვითითეს ს. კლდიაშვილმა [1], ვ. ოზეროვმა [2], ჰ. მიტინმა [3], ს. ბარუზდინმა [4] და სხვ. რუსი მწერალი იური ნავიბინი წერს: „მას (გ. ჩიქოვანს — ვ. თ.) აქვს საუცხოო გამომსახველობითი ნიჭი, ერთნაირად კარგად გამოუდის ბუნებაც, გმირთა ქცევაც და გარეგნობაც, მოქმედების მთელი გარემოებაც. მაგრამ, რაკილა ღმერთს მისთვის მოხრობელის ნიჭი დაუმაღლებია, იგი, როდესაც საჭიროა, მთელს თავის სიმდიდრეს ანაცვლებს ხოლმე მთავარს — ლაკონიზმს, მცირე პროზის ამ უპირველეს ღირსებას. და აქ მოწიწებით ქედს ვუხრი გრიგოლს“ [5].

გრ. ჩიქოვანის შემოქმედება წარმოსახავს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულსა და თანამედროვე ყოფას, მისი პერსონაჟები გამოირჩევიან ინდივიდუალობით. ისინი ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები არიან. მათი სახეები პლასტიკური, ცოცხალი და ფსიქოლოგიურია. მწერალს შესწევს უნარი დინამიკაში წარმოსახოს სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის, შეგნებისა და ხასიათების გმირები, კერძოდ, რომანში „თებერვალი დადგაო“... ერთ-ერთი გმირი, ტატაჩია სიორდია გარეწარი და ნაძირალაა. ასეთივე შთაბეჭდილებას ტოვებს მისი ნაწიერი ისიდორე სიორდია რომანში „მიწა“, მაგრამ ტრილოგიის მესამე ნაწილში ის საკმაოდ კეთილ და სათნო პიროვნებად გვევლინება. ამ ფაქტს დამაჯერებლად ხდის მწერლის მიერ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების ბუნება, რომელიც ნაწარმოებში დანახულია, როგორც პიროვნებაზე შემოქმედებითი ძალის ფაქტორი.

გრ. ჩიქოვანს ეხერხება გმირის სულიერი სამყაროსა და გარეგნობის ორგანული შეხამება, კონტრატე პირტახიას (მოთხრობიდან „კიბე“), რომელსაც მწერალმა მეტად შესატყვისი სახელი — ტახი უწოდა, შემდგენიარად ახასიათებს: „კონტრატე, მართლაც, მოგაგონებდათ ტახს. ოდნავ წინ წამოგდებულნი ქვედა ყბა, წვრილი, ჭროდა თვალები, დაბალი შუბლი და მაღალი ქეჩო. ღია, ქეჩო და არა კეფა. მსხვილ, მოკლე ფეხებს ტახივით მაგრად ადგამდა. მუდამ თავაწეული დადიოდა და თვალები დამფრთხალი ტახივით მუდამ დაცეცებული ჰქონდა“ ([6], 555).

პერსონაჟის დახასიათებისათვის ავტორი მიმართავს ლიტერატურაში კარგად ცნობილ ხერხს — მეტყველების ინდივიდუალიზაციის პრინციპს, ზოგჯერ კი ერთ პერსონაჟს ახასიათებს მეორე პერსონაჟის მეშვეობით. ავტორი გმირის ბუნებაში პოულობს ინდივიდუალურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თვისებებს, კერძობით ნიშნებს, მაგალითად, ბეგლარ ბუკია პირდაპირია და სიჯიუტემდე მისული შემტევი ხასიათი აქვს; შალვა მასწავლებელი მუდამ რაღა-

ცის მოლოდინშია, გაუბედავია და მერყევი; ტატაჩია სიორდიას ახასიათებს „წაფოტივით სიმსუბუქე და კაყვიით სიმაგრე; ლონგინოზ ლომჯარია მოუსვენარია; ანდრი განგია ოპტიმისტი და ა. შ.

გრ. ჩიქოვანის პროზის ერთ-ერთი სტილური ნიშანია მშობლიური პეიზაჟის განცდა. ამ მხრივ იგი აგრძელებს ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციებს. საქართველოს ბუნება, მისი ნოყიერი ველები, ზვიადი მთები, მდინარეები, კურთხეული ზეცა, აყვავებული ველ-მინდვრები, პლანტაციები, ტყეები და ბუჩქები, აბიზინებელი ბალახი, საზოგადოდ, ბუნების სურათები დანახულია პოეტურად და მათ ორგანული ადგილი უკავიათ ნაწარმოების კომპოზიციაში.

გრ. ჩიქოვანის ნაწარმოებებში იგრძნობა ქართული ლექსიკის სიმდიდრე და მეტყველების ფორმების მრავალნაირობა. მწერლის თხრობა ლაკონურია, გამოკვეთილი და ტევადი, თხზულებას იგი უმთავრესად დიალოგზე აგებს, ავტორის თხრობა შეზღუდულია; ხშირად იყენებს მიმართვის ფორმას. ზოგჯერ მწერალი აზრის გაძლიერების მიზნით მთელ ფრაზას, ან წინადადებას იმეორებს.

გრ. ჩიქოვანის ლიტერატურული სახეები უპირატესად მარტივი, ერთგანზომილებიანი ბუნებისაა და ერთფეროვანია. ავტორი წინასწარ განზრახული სქემის მიხედვით ქმნის პერსონაჟებს. თუ, მაგალითად, მეზატონეს ხატავს, იგი უპირისპირდება ყმა-გლეხს და ჰკარგავს ადამიანურ სახეს: ცოცხალი, ხორციელი კაცის შთაბეჭდილებას კი არ ტოვებს, არამედ ბოროტების სიმბოლოა, მკითხველის ყურადღება მთლიანად გადატანილია მეზატონის გულქვაობასა და შეუბრალებელ ქმედებაზე, რაც მძიმე, შემზარავ ფაქტებში ვლინდება. საერთოდ მისი ისტორიულ წარსულის ამსახველი ნაწარმოებები გადატვირთულია ტრაგიკული ელემენტებით, რაც უარყოფითად მოქმედებს ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებაზე.

სატრფიალო მოტივის მხატვრული ხორცშესხმისათვის მწერალს თხრობის თავისებური ტონი აურჩევია, რაც სასიამოვნო საკითხავს ხდის ნაწარმოებს, მაგრამ ჩანს, რომ იგი მთლიანად ამ გრძნობას დაუმორჩილებია და ივიწყებს პერსონაჟთა საზოგადოებრივ ასპექტს, მათ სოციალურ ფუნქციას.

მოთხრობაში „სიყვარული“ მწერლის მიერ ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის მორალური გამიჯვნა იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით გამართლებული არ არის. ამ ნაწარმოებში არც დედა-შვილის დაპირისპირებისას ავლენს მწერალი საჭირო გამომსახველობით უნარს.

გრ. ჩიქოვანის მოთხრობები და ტრილოგია „თებერვალი დადგა...“ მწერლის მხატვრული ოსტატობის სიმწიფის დადასტურებაა. მათში დასმული საზოგადოებრივი პრობლემები და გამოხატვის სტილური ხერხები ავტორს საშუალებას აძლევს იდეური ჩანაფიქრის მხატვრულ-იდეური წარმოსახვისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 25.11.1983)

ФИЛОЛОГИЯ

В. В. ТОДУА

ХУДОЖЕСТВЕННЫЕ ОСОБЕННОСТИ ПРОЗЫ ГРИГОЛА ЧИКОВАНИ

Резюме

Художественную специфику прозы известного грузинского советского писателя Григола Чиковани создает актуальность тематики, обострение социальной природы героя, принцип индивидуализации персонажей и лаконизм.

V. V. TODUA

THE ARTISTIC PECULIARITIES OF GRIGOL CHIKOVANI'S PROSE

Summary

The topicality of theme, accentuation of the social nature of characters, and the principle of individualization of personages add up to the artistic peculiarity of the prose of Grigol Chikovani, a well-known Georgian Soviet writer. His short stories are characterized by laconism.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. ს. კლდიაშვილი. ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 11 აპრილი, 1980.
2. В. Озеров, М. Бажан и др. газ. «Заря Востока», 12 августа, 1973.
3. ჰ. შიტინი. შესავალი წერილი გრიგოლ ჩიქოვანის ობტომეულისა, ტ. I, თბილისი, 1982.
4. С. Баруздин. «Литературная Грузия», № 6, 1979.
5. ი. ნაგებინი. ვაზ., „ლიტერატურული საქართველო“, № 15, 1980.
6. გრ. ჩიქოვანი. თხზულებანი ორ ტომად, I, თბილისი, 1971.



ზ. ბოცვაძე

რევოლუციამდელი ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის განვითარების ძირითადი პრინციპები

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ 4.10.1984)

XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან როგორც რუსეთის სახალხო განათლების, ისე მართვა-გამგეობის სხვა დარგებშიც დაიწყო ახალი ხანა — პროგრესული აზროვნება იდეენებოდა მეფის რეაქციული პოლიტიკის საფუძველზე. საქართველოს მოწინავე საზოგადოება აშკარად გრძნობდა რეაქციის მიერ შექმნილ დიდ ეროვნულ საშიშროებას, რომელიც წალეკვით ემუქრებოდა ქართველობას, მის ენას, ისტორიას. ამიტომ ის წინ აღუდგა რეაქციის ტალღას და ცარიზმის ამგვარ პოლიტიკას. მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები ნათლად ხედავდნენ, რომ საჭირო იყო ნორჩი თაობისათვის ქართული წიგნების კიდევ უფრო მეტი რაოდენობით გამოცემა, ქართული საბავშვო ჟურნალების დახვეწა, ჟანრობრივი მრავალფეროვნება. ისინი გულისტკივილით აღნიშნავდნენ იმ ფაქტს, რომ საბავშვო ლიტერატურა უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

საბავშვო მწერლობის განვითარება დიდად იყო დამოკიდებული სალი ლიტერატურული კრიტიკის განვითარებაზე.

გამოჩენილი პედაგოგი ი. გოგებაშვილი, რომელიც ახალი ქართული პედაგოგიკისა და ახალი ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებლად და მამად არის აღიარებული [1], საბავშვო ლიტერატურას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. იგი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ საბავშვო ლიტერატურა „არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა...“ [2]. დიდ პედაგოგს ღრმად სწამდა, რომ კარგად დაწერილი საბავშვო ნაწარმოები ბევრ კეთილ აზრს ჩაუნერგავს ბავშვის გონებას, ბევრი კეთილშობილური და ჰუმანური მისწრაფებით შეამკობს მის გრძნობას, სამშობლოს ბევრ მხნესა და ერთგულ მამულიშვილს აღუზრდის.

კრიტიკას თვალნათლივ უნდა ეჩვენებინა როგორ ასახავს მწერალი გარეგან სამყაროს, როგორია მისი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. რევოლუციამდელი ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკა ხშირად უბრალო რეცენზიის ჩარჩოებში იყო მოქცეული, რის გამოც თავის მიზანს შედარებით სუსტად ასრულებდა.

ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის აღმოცენება-განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების — ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, აკ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ლ. ბოცვაძის, გრ. ყიფშიძის, კ. აბაშიძის, სტ. ჭრელაშვილის, ივ. გომართელის, აღ. მირიანაშვილის, თ. ხუსკივაძის, მ. ნასიძის, ი. როსტომაშვილის, იბ. ვართაგავას, გ. ლასხიშვილის, დ. კასრაძის, რ. ფანცხავას, ვ. ჯაფარიძის და სხვათა სახელებთან. ისინი ეყრდნობოდნენ დიდი რუსი პედაგოგებისა და მოაზროვნეების — ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, პისარევის, უშინსკის შეხედულებებს საბავშვო ლიტერატურის შესახებ.

რევოლუციამდელი პერიოდული პრესის ფურცლებზე XIX ს. 80-იანი წლებიდან მოყოლებული ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკა ფეხს იკიდებდა და ვითარდებოდა. კრიტიკოსები საბავშვო მწერლობას შემდეგ ამოცანებს უსახავდნენ:

თითოეული შეცდომა საბავშვო ნაწარმოებში ერთი ხუთად და მეტად მავნებელია, ვიდრე დიდებისათვის გამოცემულ წიგნში. დიდს აზროვნებისა და მსჯელობის უნარი დასრულებული აქვს, იცის ავი და კარგი, თუ რა უნდა შეითვისოს და რა უარყოს. ბავშვი მოკლებულია კრიტიკულ შეხედულებებს და თითქმის ერთნაირად ითვისებს დადებითსაც და უარყოფითსაც;

საბავშვო მწერალი დიდი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს ლიტერატურის ამ ურთულეს დარგს, ღრმად სწავლობდეს ბავშვების ინტერესებს, მისი განცდების თავისებურებას, საერთოდ ბავშვის ბუნებას;

სულიერი ამაღლებისათვის საბავშვო მწერლობამ მოზარდის გულში თანაგრძნობისა და გულშემატყვივრობის გრძნობა უნდა ჩანერგოს;

დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს საბუნებისმეტყველო და ისტორიულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს;

საჭიროა ბავშვებს ისეთი წიგნები მივაწოდოთ, რომლებიც მათში ცხოვრებისადმი დამოკიდებულებისა და მისი მოვლენების მიმართ დაკვირვების უნარის გამომუშავებას ხელს შეუწყობენ;

განსაკუთრებული აღმზრდელობითი დანიშნულება აქვს ბავშვის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნაზე დამყარებულ იუმორს, რომელიც ნორჩ მკითხველს სიცოცხლის გრძნობას უძლიერებს და ხალისს ანიჭებს;

ბავშვებისათვის ფრიად სასარგებლო მასალას წარმოადგენს გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფია. ბიოგრაფიული მოთხრობების დაწერის დროს აუცილებელია ამა თუ იმ გამოჩენილი პირის ბავშვობის აღწერა, რაც კიდევ უფრო დაინტერესებს ნორჩ მკითხველს და მიბაძვის ინტერესს ჩაუსახავს გულში; ბიოგრაფიების დაწერს დიდი სიფრთხილე მართებს, რათა ისეთ საგნებზე არ მიაპყროს ბავშვის ყურადღება, რასაც უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია მკითხველზე;

არ უნდა მიეცეს ბავშვს საკითხავად ზნეობრივი სწავლით გაყენითილი წიგნები; სრულიად უნდა განიღვენოს ბავშვებისათვის საშიში ამბებით აღწერილი სურათები;

საბავშვო წიგნი შემაქცევარი და მიმზიდველი უნდა იყოს ბავშვისათვის; მისი შინაარსი სიმართლეს უნდა შეიცავდეს. საჭირო არ არის ცხოვრების შეფერადება, არც მისი იდეალიზაცია; საბავშვო წიგნში უნდა ჩანდეს სიმართლისა და სიკეთის ზნეობრივი იდეალი, შეზავებული ბავშვებისადმი სიყვარულით, რომელიც თავისთავად უარყოფს, როგორც ზედმეტ რეალიზმს, ისე სენტიმენტალობასაც; იქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს პესიმიზმს, უიმედობას; მან არ უნდა მოშალოს ბავშვის სალი სიყვარული ცხოვრებისადმი, არ უნდა დაანღვლიანოს ცხოვრება ტრაგიზმით, არ უნდა განუვითაროს მელანქოლია;

ცხოვრების უარყოფითი მოვლენები საბავშვო მოთხრობებში ძალზე ფრთხილად უნდა დახატოს მწერალმა, ისე, რომ ნორჩ მკითხველს დაეხმაროს ასეთი მოვლენის კრიტიკულად შეფასებაში;

ბავშვის ფსიქოლოგიის მიხედვით სინამდვილის მარტო მხატვრული აღწერა არ კმარა, საჭიროა „შინაგანი გაბრწყინება, განათება რომელისამე სურათისა“, რათა მკითხველმა კეთილისა და ბოროტის გარჩევა ადვილად შეძლოს;

ზღაპარში ყოველთვის ჰუმანური იდეები უნდა იყოს გატარებული, კეთილი უნდა ჯობნიდეს ბოროტს. ასეთი სახის ზღაპრების წაკითხვის შემდეგ ბავ-

შეს გულში სიმართლისადმი სიყვარული და დაჩაგრულთადმი სიმპატია ენერგება;

საბავშვო წიგნები სავსე უნდა იყოს არა გაცვეთილი სენტენციებით, არა ცივი ზნეობრივი მოძღვრებით, მშრალი ამბებით, არამედ სიცოცხლით, მოძრაობით აღსავსე მოთხრობებითა და სურათებით, რომლებიც გამსჭვალულია ცხოველმყოფელობით, გამთბარია გრძნობით; მწერლის ენა კი უნდა იყოს ხალხური, მარტივი, კეთილხმოვანი და სურათოვანი.

ამ ჭეშმარიტი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე რევოლუციამდელმა ქართულმა საბავშვო მწერლობამ ნორჩ მკითხველს არაერთი მძალამხატვრული ნაწარმოები მიუძღვნა.

1884 წ. გამოვიდა პირველი ქართული საბავშვო ჟურნალი „ნობათი“, რომელმაც სალიტერატურო კრიტიკის ყურადღება მიიქცია.

ი. გოგებაშვილი დიდი სიხარულით შეეგება ამ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას და სპეციალური კრიტიკული წერილიც მიუძღვნა გაზეთ „დროებაში“ სათაურით „ნობათი“ — ყრმათათვის საკითხავი ყოველთვიური სურათებიანი ჟურნალი, პედაგოგიურის განყოფილების დამატებით მშობელთა და აღმზრდელთათვის, სანიმუშო ნიმერი. ანდრია ლულაძის რედაქტორობით და გამომცემლობით“.

დიდი პედაგოგის ეს წერილი თავისი ღრმა პროფესიონალიზმითა და მძალა ლიტერატურული გემოვნებით სანიმუშოდ მიგვაჩნია ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის განვითარების ისტორიაში. კრიტიკული წერილის დასასრულს ი. გოგებაშვილი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს სალიტერატურული კრიტიკა, რომელიც საუკეთესო სამსახურს გაუწევს საბავშვო მწერლობის შემდგომ განვითარებას: „...ჩვენ ვცდილობდით ვრცლად, დაწვრილებით გამოგვეთქვა სამართლიანი მსჯელობა, ღირსებანი კაშკაშად გავგეშუქებინა, საქები ხმა-მალა გვექო და ამასთან არ დაგვემალა ნაკლულევანება, რაც არც საკადრისი იყო და არც სასარგებლო უპირველესად ყოვლისა თვითონ ჟურნალისათვის...“ ი. გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ საბავშვო გამოცემებში ყოველივე შეცდომა ათჯერ უფრო მავნებელია, ვინემ დიდებისათვის გამიზნულ გამოცემებში. იგი სავსებით სწორად აღნიშნავდა, რომ ბავშვის გონება მოკლებულია კრიტიკულ შეხედულებას და თითქოს ერთნაირად ითვისებს კარგსაც და ავსაც. ამიტომ, თუ თქვენ ბავშვს უნიჭო კალმის ნაწარმოებებს წააკითხებთ, გონებას დაუსუსტებთ და დაუმახინჯებთო — აღნიშნავდა დიდი პედაგოგი.

ი. გოგებაშვილი საბავშვო მწერლებს წინდახედულებისაკენ მოუწოდებდა. მას მიაჩნდა, რომ საბავშვო ნაწარმოებების წერა ბევრად უფრო დიდ სიძნელეს წარმოადგენს, ვინემ დიდებისათვის ლიტერატურული ნიმუშების შექმნა.

ქართული საბავშვო ლიტერატურული კრიტიკისათვის ი. გოგებაშვილის ეს წერილი გახდა შემდგომში საზომი საბავშვო ნაწარმოებთა შეფასებისას.

ეპოქა მწვავედ მოითხოვდა მშობლიურ ენაზე საბავშვო ლიტერატურისა და პერიოდული პრესის შექმნას. ამიტომაც იყო, რომ XIX ს. 80—90-იანი წლებიდან საგრძნობი გამოცოცხლება დაეტყო როგორც საბავშვო მწერლობას, ისე საბავშვო ლიტერატურის კრიტიკასაც. პრესაში დროგაშორებებით უკვე ქვეყნდებოდა საყურადღებო წერილები საბავშვო მწერლობის დანიშნულების შესახებ.

მიუხედავად ამისა, რევოლუციამდელი საბავშვო ლიტერატურა თემატურად და ჟანრობრივად, მცირეოდენის გამოკლებით, ღარიბად გამოიყურებოდა. ამიტომ იგი კიდევ უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებდა კრიტიკის მხრიდან, რის შესახებაც სისტემატურად შეახსენებდნენ მკითხველ საზოგადოებას ი. ვო-

გებაშვილი, აკ. წერეთელი, ლ. ბოცვაძე, ან. თუმანიშვილი-წერეთელისა, ი. ფერაძე და სხვ.

1905 წ. ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის შემდეგ, გაზეთ „ნოვია ჟიჟნი“ გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის ცნობილი სტატია — „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საბავშვო მწერლობის განვითარებაშიც. ვ. ი. ლენინი წერდა: „ლიტერატურა პარტიული უნდა გახდეს. წინააღმდეგ ბურჟუაზიული ზნისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული სამეწარმეო, ჩარჩული ბეჭდვითი სიტყვისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ლიტერატურული კარიერისა და ინდივიდუალიზმისა, „ბატონკაცური ანარქიზმისა“ და მოგებისადმი მისწრაფებისა — სოციალსტურმა პროლეტარიატმა უნდა წამოაყენოს პარტიული ლიტერატურის პრინციპი, განავითაროს ეს პრინციპი და განახორციელოს იგი რაც შეიძლება სრული და მთლიანი სახით [3].

ამ თეორიული პოზიციების დაცვით, რევოლუციამდელი საბავშვო ლიტერატურის კრიტიკას ბევრი რამ შეეძლო გაეკეთებინა, რათა მყარი საფუძველი შეექმნა საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის აღმავლობისა და განმტკიცებისათვის.

ა. პუშკინის სახელობის თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

(შემოვიღა 5.10.1984)

ФИЛОЛОГИЯ

3. В. БОЦВАДЗЕ

ОСНОВНЫЕ ПРИНЦИПЫ РАЗВИТИЯ ДОРЕВОЛЮЦИОННОЙ КРИТИКИ ГРУЗИНСКОЙ ДЕТСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

Резюме

В труде рассмотрены основные принципы критики грузинской детской литературы дореволюционного периода. Проанализированы те главные задачи, которые ставили критики перед детской литературой.

В труде показано, что дореволюционные взгляды о детской литературе стали прочной основой для развития критики советской детской литературы.

PHILOLOGY

Z. V. BOTSVDZE

THE MAIN PRINCIPLES OF THE DEVELOPMENT OF CRITICISM OF PRE-REVOLUTIONARY GEORGIAN CHILDREN'S LITERATURE

Summary

The paper discusses the main trends in the development of criticism of Georgian children's literature. The principal tasks set to the children's literature by the critics are considered.

The study confirms the fact that before the Revolution concepts on children's literature laid the foundation for the subsequent development of Soviet criticism of children's literature.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. გ. ჯიბლაძე. იაკობ გოგებაშვილი — ახალი ქართული პედაგოგიკის მამა. თბილისი, 1976.
2. ი. გოგებაშვილი. თხზულებანი, ტ. 2, თბილისი, 1954.
3. ვ. ი. ლენინი. კულტურისა და ხელოვნების შესახებ. თბილისი, 1957.

ს. ჩოხელი

პატარძლის რიტუალური ტირილი ქართულ საქორწილო ფოლკლორში

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ცაიშვილმა 30.10.1984)

მსოფლიო ხალხთა ფოლკლორში მთელი ციკლია შექმნილი მამისეულ ოჯახთან პატარძლის გამოსათხოვარი ლექს-სიმღერებისა, რომლებიც „გოდების“ სახელწოდებითაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში [1—3].

ქართულ ფოლკლორისტიკაში აღნიშნულ საკითხს პირველად ყურადღება მიაქცია ქ. სიხარულიძემ. მისი აზრით, „ყოფაში დადასტურებული ეს ჩვეულება ზეპირსიტყვიერების შესაბამის ძეგლებს არ შემოუნახავთ“ [4]. მისივე შენიშვნით, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ამ დროს სრულდებოდა ისეთი პოეტური ნიმუშები, როგორცაა „პატარძლეულის ციხესა“ და „შატილს გადიდდა ხობობი“. ახლად მოპოვებული მასალების მიხედვითაც მესხეთ-ჯავახეთში და კახეთში დასახლებული სიმღერები სწორედ პატარძლის მშობლიურ ოჯახთან გამომშვიდობების მომენტში სრულდებოდა. უფრო მეტიც, მესხეთ-ჯავახეთში ამ დროს უკრავდნენ ეგრეთეოდებულ „სატირალ ყაიდას“, პატარძალიც იცრემლებოდა, ყველანი ცხენებზე შესხდებოდნენ და ნეფე-დედოფლითურთ გაემგზავრებოდნენ ნეფის ოჯახში [5]. თვითონ სათაური უკვე მიგვანიშნებს, რომ მას ხალხი მწუხარებისათვის უნდა განეწყო. ამ შემთხვევაშიც საქმე უნდა გვექონდეს პატარძლის გამოსათხოვარ ტრადიციულ ტირილთან, რომელსაც, სავარაუდოა, თავდაპირველად თავისი შესაბამისი პოეტური ტექსტიც ჰქონდა, მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ სპეციალური ტექსტის დაკარგვამ, რაკი რიტუალი ჯერ კიდევ ძალაში იყო, მასთან ზემოდასახლებული პოეტური ნიმუშები დაკავშირა.

როგორც ირკვევა, „მამისეულ ოჯახთან გამოსამშვიდობებელი სიმღერები ერთ დროს თანაბრად ყოფილა გავრცელებული მთელს აჭარაში“ [6]. ამის უტყუარ საბუთად ა. მსხალაძეს მიაჩნია რამდენიმე ვარიანტად ჩაწერილი სიმღერა „პატარძლის გამოთხოვება მშობლებთან“, რომელიც „ტირილის, ინტონაციებს შეიცავს, რაც წარმოადგენს იმის დადასტურებას, რომ ძველად აჭარაშიც არსებობდა საპატარძლოსთან გამოსამშვიდობებელი ლექს-სიმღერები, რომლებიც ფერხულის ფორმით სრულდებოდა. უფრო მეტიც, ეს სიმღერა-ფერხულები იმართებოდა პატარძლის ოჯახში და მას მხოლოდ ქალები ესწრებოდნენ“ [6].

